საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

01/09/2025

MES 1 25 0001109440

გადაწყვეტილება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი

მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 29 მაისის №592446 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "ეკოლოგიის" საბაკალავრო და "გამოყენებითი ეკოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ 1.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, "მონაცემთა ბაზების შესავლის" კურსი შეთავაზებული იყოს არჩევითი კურსების ფარგლებში. ამავდროულად, პროგრამაში სავალადებულო სახით წარმოდგენილი უნდა იყოს ისეთი კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკოლოგიის დისციპლინების საფუძვლების შესწავლას, როგორიცაა: მიკრობიოლოგია და მიკრობული ეკოლოგია, პოპულაციური ეკოლოგია, ეკოსისტემური ეკოლოგია და სხვ.“ დააკორექტირა შემდეგი სახით: „პროგრამა გაძლიერდეს ისეთი კურსებით/საკითხებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკოლოგიის დისციპლინების შესწავლას, როგორიცაა: მიკრობიოლოგია და მიკრობული ეკოლოგია, პოპულაციური ეკოლოგია, ეკოსისტემური ეკოლოგია და სხვ.“.

ასევე, 2.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს უფრო რთული სავალდებულო სასწავლო კომპონენტი, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებში განსაზღვრული პრაქტიკული უნარების განვითარების, მიღწევის, შეფასების და მონიტორინგის ვალდებულებებს“ დააკორექტირა შემდეგი სახით: „რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კომპონენტი, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებში განსაზღვრულ პრაქტიკული უნარების განვითარების, მიღწევის, შეფასების და მონიტორინგის ვალდებულებებს“.

ასევე, 2.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია: “რეკომენდებულია, გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა და განახლდეს მემორანდუმები სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად, რომ ადეკვატურად იყოს უზრუნველყოფილი პრაქტიკული მომზადება. რეკომენდებულია, საველე პრაქტიკის კურსი ითვალისწინებდეს საველე სამუშაოებს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე. ასევე, რეკომენდებულია, დამყარდეს სტრუქტურირებული თანამშრომლობა დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, აკადემიური და კლასგარეშე სასწავლო შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად“ დააკორექტირა შემდეგი სახით: „რეკომენდებულია, გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა , კერძოდ, საველე პრაქტიკის კურსი ითვალისწინებდეს საველე სამუშაოებს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზეც“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 14 აგვისტომდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ეკოლოგიის" საბაკალავრო და "გამოყენებითი ეკოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 1 სექტემბრის სხდომის №1109333 ოქმის №05 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის საზოგადოებრივ და შრომის ბაზრის საჭიროებებთან უკეთესი შესაბამისობის მიზნით, გაძლიერდეს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან ისეთ სექტორებში, როგორიცაა გარემოსდაცვითი საკონსულტაციო სერვისები, სამთავრობო/ არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო სექტორი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია პარტნიორობის ფორმალიზებით, სასწავლო გეგმის შემუშავებით და პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, საკონსულტაციო საბჭოს შექმნით;

2. რეკომენდებულია, შეიცვალოს და გაუმჯობესდეს პროგრამის სწავლის შედეგები და დეტალურად განისაზღვროს ცოდნა და უნარები, დაემატოს პროფესიული პასუხისმგებლობის და აკადემიური კეთილსინდისიერების ასპექტები, რომ სწავლის შედეგები სრულად ითვალისწინებდეს და შეესაბამებოდეს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს;
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს და გაუმჯობესდეს პროგრამის სასწავლო გეგმის რუქა, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგებს და შესაბამის სასწავლო კურსებს შორის;
4. პროგრამა გაძლიერდეს ისეთი კურსებით/საკითხებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკოლოგიის დისციპლინების შესწავლას, როგორიცაა: მიკრობიოლოგია და მიკრობული ეკოლოგია, პოპულაციური ეკოლოგია, ეკოსისტემური ეკოლოგია და სხვ.;
5. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პროგრამის თანმიმდევრულობა და შიდა ლოგიკა. პროგრამის შინაარსი უნდა განვითარდეს მარტივიდან რთულისკენ. პირველ რიგში უნდა ისწავლებოდე ეკოლოგიის საფუძვლები, ხოლო "სამეცნიერო მონაცემების ანალიზის" კურსი შეთავაზებული უნდა იყოს შემდგომ ეტაპზე, რაც აჩვენებს გაძლიერებულ სწავლებაზე გადასვლას;
6. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს გარე ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები და სასწავლო გეგმას დაამატოს აკადემიური წერის უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსი /კურსები;
7. რეკომენდებულია. "ქიმიის შესავლის" და "ქიმიის" სასწავლო კურსების შინაარსი გაუმჯობესდეს შემდეგნაირად:: (ა) აღმოიფხვრას თემების გადაფარვა, (ბ) "ქიმიის შესავლის" კურსის შინაარსს დაემატოს არაორგანული ქიმიის თემები და (გ) სილაბუსებში მიეთითოს შემუშავების / ცვლილებების განხორციელების / განახლების თარიღები;
8. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით უნარების განვითარების თვალსაზრისით, პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო (განსაკუთრებით II და III დონე) სასწავლო კურსებში გამოყენებული იყოს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული დავალებები. ასეთი დავალებების შესრულება სავალდებულო უნდა იყოს იმისათვის, რომ სტუდენტებმა მიიღონ კურსის დასრულებისთვის საჭირო ქულა. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელი იქნება შესაბამის შეფასების კომპონენტში ზღვრული ქულის დაწესებით;
9. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კომპონენტი, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებში განსაზღვრულ პრაქტიკული უნარების განვითარების, მიღწევის, შეფასების და მონიტორინგის ვალდებულებებს;
10. რეკომენდებულია, გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა , კერძოდ, საველე პრაქტიკის კურსი ითვალისწინებდეს საველე სამუშაოებს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზეც;
11. რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსებში სწავლება - სწავლის მეთოდები შეესაბამებოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" მიდგომებს და კრიტერიუმებს;

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 14 აგვისტოს.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 14 აგვისტო.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე